



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 70



2018 წლის 7 აგვისტო

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №24 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №24 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 13/04/2018; 010250020.35.143.016483) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირებისათვის (ე.წ. აგრარული, მსხვილფეხა რქოსანი, წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ბაზრობები)	საერთო ფართის 1 მ2 1500 მ2-ის ჩათვლით	0.30	0.15
	საერთო ფართის 1 მ2 1500 მ2-ის ზემოთ	0.20	0.10

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი